აქვს, სამხედრო საგნებში ძლივ ძლიობით დამაკმაყოფილებელ ნიშანს ღებულობს. ის ხშირად უკმაყოფილებას გამოსთქვამს: „რაა, რა ცხოვრებაა ეს, ვერსად ვერ მივდივარო, სტიპენდია არ არის და სხვ.“ ბანაკად ყოფნის დროს მან ასეულის პარტ ორგს ჩაჩანიძეს განუცხადა: „თუ ჯარში ყოფნა ასე კარგია, როგორც შენ გვეუბნები, რატომ შენ თითონ არ დარჩი სამუდამოთ ჯარშიო“. ბანაკად ყოფნის დროს ის სისტემატიურად სიმულანტობდა. პოლიტ მეცადინეობის დროს უნივერსიტეტში, როდესაც მუშავდებოდა საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის შედეგები, ღლონტი შეეცადა ირონიულ წამოძახილებით გაეზიარებია მოხსენების შინაარსი.

სტუდენტი შალვა ღლონტი გასულ წელს გარიცხული იქნა უნივერსიტეტიდან. გარიცხვის მიზეზი ის იყო, რომ ღლონტი ცილს სწამებდა უნივერსიტეტის ეხლანდელ ხელმძღვანელობას და კერძოთ, რექტორ ამხ. ორაგველიძეს პროფესორების დევნაში. ის ამბობდა: “აი, მოვიდა უნივერსიტეტში ორაგველიძე, მოხსნა თანამდებობიდან ცნობილი და ნიჭიერი პროფესორები და მათ ადგილზე დანიშნა დურაკებიო“. ღლონტი შემდეგ პირობით იქნა აღდგენილი უნივერსიტეტში, მაგრამ ღლონტი არ გამოსწორდა და დღესაც განაგრძობს კონტრევოლიუციონურ ლაყბობას იმის შესახებ, რომ სამოსწავლო თანამდებობები ახლა ცოდნის მიხედვით კი არ ეძლევა ხალხს, არამედ ამ ადგილებზე ზემოდან ინიშნება ხალხიო და სხვ.

როცა მის წრეში ამხანაგებმა წაიკითხეს გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ქრონიკა, რომ ამხ. ბენიტო ბუაჩიძემ მილიციის კლუბში მოხსენება გააკეთაო, მან განაცხადა, რომ ბუაჩიძე მილიციონერი გამხდარაო და ეს მისი შესაფერისიც არისო. 1931 წელს ღლონტი დაპატიმრებული იყო კომკავშირის რაიკომის შენობაზე ანტი საბ-

ჭოთა პროკლამაციის გაკვრასთან დაკავშირებით. ლანჩხუთის რაიონის შინაგან [საქმეთა] სახ[ალხო] კომის[არიატის] ორგანოების მიერ ის იყო დაპატიმრებული ორი თვის განმავლობაში.

ღლონტი სწერდა ლანჩხუთის საშუალო სკოლის სამოსწავლო ნაწილის გამგეს იმნაიშვილს კონტრევოლიციონურ ტროცკისტ პატიკო ქიქოძის და ნაროუშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. ის სწერდა იმნაიშვილს: მართალია, ქიქოძე და ნაროუშვილი დაიჭირეს, მაგრამ გულს ნუ გაიტეხო. უნივერსიტეტში შემოსვლამდე ღლონტი მასწავლებლობდა ჯერ ყაზბეგის რაიონში და შემდეგ ასპინძის რაიონში. ორივე ადგილიდან ის გამოიქცა. მის მიერ მუშაობის მიტოვების მიზეზი გაურკვეველია.

ღლონტი ცდილობს თავის გარშემო შემოიკრიბოს უპარტიო სტუდენტები და ჩაუნერგოს მას ანტი საბჭოთა განწყობილებები.

გამომდინარე ყველა აქედან, ფილოლოგიური ფაკულტეტის პარტ ორგანიზაციის კრება მოითხოვს, რათა სტუდენტი შალვა ღლონტი, როგორც ანტი საბჭოთა ელემენტი, გარიცხული იქნას უნივერსიტეტიდან.

2. გივი ქიქოძე, მე-3 კურსის სტუდენტი (უპარტიო), შარშან გარიცხული იქნა ისტორიულ ფაკულტეტიდან ანტი საბჭოთა იდიოლოგიის გამომჟღავნებისათვის, შემდეგ აღდგენილი იქნა და გადმოყვანილი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 14 დეკემბერს გივი ქიქოძემ წაიკითხა მოხსენება ფრანგ მწერლების ერთი ჯგუფის შესახებ, რომელიც თავმოყრილია ჟურნალ „ნუველ რევიუ ფრანსეზის“ ირგვლივ. ყველა მწერლები, რომელთაც შეეხო ის თავის მოხსენებაში, მან განიხილა ბურჟუაზიულ ესთეტიკის თვალსაზრისით, წმინდა ფორმალისტურად. მან ილაპარაკა ანდრე ჟიდის შესახებ, თუმცა

წრის ხელმძღვანელთან ის შეთანხმებული იყო, რომ ანდრე ჟიდზე იმ საღამოს არ უნდა ელაპარაკა. მაინც მან განიხილა ანდრე ჟიდის შემოქმედება და განაცხადა, რომ ანდრე ჟიდი მას შემდეგაც, რაც მან დასწერა საბჭოთა კავშირზე ტროცკისტულ ცილის წამებით აღსავსე წიგნი „დაბრუნება საბჭოთა კავშირიდან“, მაინც, „ვფიქრობო, რომ ანდრე ჟიდი აღიარებს თავის შეცდომასო, ის იყო და დარჩება კომუნისტ მწერლად“. თავისთავად, ის არც შეეხო ანდრე ჟიდის წიგნში მოყვანილ საზიზღარ ცილის წამებას საბჭოთა კავშირის მიმართ, მოხსენებაზე დამსწრე სტუდენტების გამოსვლის შემდეგაც არ შესცვალა თავისი შეხედულება.

სტუდენტი გივი ქიქოძე გაურბის პოლიტ მეცადინეობას, საზოგადოებრივ მუშაობას. ყველა ამის საფუძველზე ფილოლოგიური ფაკულტეტის პარტ ორგანიზაციის დახურული კრება მოითხოვს სტუდენტ ქიქოძე გივის უნივერსიტეტიდან გარიცხვას.

3. სტუდენტი ჭანჭალეიშვილი ვასილი, მისივე განცხადებით, არის ყოფილი კომკავშირელი. 1926-27 წელს გარიცხული იქნა კომკავშირის რიგებიდან ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფში მუშაობისათვის და დაპატიმრებული იყო 2 წლის განმავლობაში. ყოველივე ეს დაუმალა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ის შემჩნეულია ანტი საბჭოთა პროპაგანდის წარმოებაში სტუდენტებს შორის, არის კონტრევოლიუციონური ტროცკისტული მოლაყბე, გამოსთქვამს უკმაყოფილებას ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ცხოვრებაზე. ის აცხადებს: „ღირს განა ისეთ ქვეყანაში ყოფნა და ცხოვრება, სადაც იდეების თავისუფლება არ არისო.“ გაურბის საზოგადოებრივ ყოველგვარ დავალებებს, აკადემიურადაც ჩამორჩება, ახასიათებს ყოყოჩობა, უდისციპლინობა და თავდაუჭერლობა. ჭანჭალეიშვილი

დღესაც არ ეუბნება ორგანიზაციას თავის წარსულის ნამდვილ ვითარებას.

ფაკულტეტის პარტ ორგანიზაციის დახურული კრება მოითხოვს მის გარიცხვას უნივერსიტეტიდან.

(მასალები ინახება ფაკულტეტის პარტ[იული] ორგანიზაციის პარტ-ორგთან).

შენიშვნა: ლლონტი, ქიქოძე და ჭანჭალეიშვილი დებულობენ სტიპენდიას.

ფილოლოგიური ფაკულტეტის

პარტ[იული] ორგ[ანიზატორი] **მაღაზონია (ხელრთვა)**

„პ“ იანვარი 1937 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 74, ფურცლები 34-36.

დოკუმენტი №14

გიგლა კვიციანიძის ჩვენება, მიცემული საქართველოს
კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის
ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პარტიული კომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისიისათვის
1937 წლის 29 ივნისი

ჩვენება

1937 წლის 29 ივნისს დაკითხული იქნა ამხ. გიგლა პოლიექტორის ძე კვიციანიძე, პარტიის წევრი 1924 წლიდან, ატა მოდებაძეს საქმესთან დაკავშირებით.

შეკითხვა: როდის ქონდათ პირველი შეხვედრა ატა მოდებაძეს ქმარ სარჩიმელიასთან?

პასუხი: სარჩიმელია იყო ეკონომიური ინსტიტუტის კურსების დირექტორი თბილისში, ხოლო პირველად ის 1936 წელს გავიცანი მანგლისის კურსებზე. მერმე მას ვხვდებოდი ამიერ კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, სადაც ის იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კურსების დირექტორ ეფიმოვის მოადგილეთ. იმ კურსებზე ვსწავლობდი მეც და მასთან მიხდებოდა შეხვედრა. მას აქეთ ვიცნობ სარჩიმელიას. სარჩიმელიას არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ის

ყოფილა შინსახკომის მომუშავე და თავი მოჰქონდა როგორც კარგ ფხიზელს. უკანასკნელად ის იყო ცეკას პროპაგანდისტების კურსებზე დირექტორის მოადგილეთ და მეც ამავე დროს იქ ვასწავლიდი.

შეკითხვა: ეჭვი შეგქონდა თუ არა მასზე, როგორც არა საიმედო პიროვნება?

პასუხი: მე არას დროს ეჭვი არ შემიტანია, რადგან ის ყოველთვის ამბობდა, რომ მან ამხილა ბევრი არა სანდო ხალხი, მათ შორის ტროცკისტი ეფიმოვი, ტარაშენკო და სხვა.

შეკითხვა: რომელ წელს და როდის მოხდა შემთხვევა, რომ მოდებადის ბინაზე შეხვედროდით კარპეზ მოდებაძეს?

პასუხი: მიმდინარე 1937 წელს დავითაშვილის ქუჩაზე სარჩიმელიამ მიიღო საცხოვრებელი ბინა. იქვე ახლოს ვცხოვრობ მეც. თვის განმავლობაში მე დავდიოდი იქ სასადილოდ და ერთ გამოსასვლელ დღეს, სარჩიმელიას ოჯახში რომ მივედი, იქ იყო კარპეზ მოდებაძეც, რომელიც ესაუბრებოდა ატა მოდებაძის დედას. სადილად მათთან დავრჩი. მე მის შემდეგ კარპეზ მოდებაძე არ მინახავს. მისი ნაცნობობა არც მქონია უნინ.

შეკითხვა: რა ხასიათს ატარებდა თქვენი საუბარი მასთან (კარპეზ მოდებაძესთან) ამ დროს?

პასუხი: მასთან მე მარტო არ მისაუბრია, საუბარი იყო საერთოდ. ის უმთავრესად ელაპარაკებოდა ატა მოდებაძის დედას. მას (კ. მოდებაძე) საუბრის დროს შევნიშნე, ახსენა გალაქტიონ ვაშაძე, რომელსაც ხელი დაადვა მიშა ოკუჯავამ და ამიტომ დააპატიმრეს ვაშაძე. საუბრის დროს მიშა ოკუჯავას იხსენიებდა ცუდად, რადგან ცოლს ცუდად ეპყრობოდაო. და უნინ ისიც სთქვევს, რომ მისულიყო ოკუჯავა ატასთან და უთქვამს, შენი და მომაშორეო.

შეკითხვა: ქონდა თუ არა საუბარი ატასთან შინა პარტიული ცხოვრების საკითხებზე?

პასუხი: ხშირი საუბარი იყო უნივერსიტეტის შესახებ. ის ამბობდა, რომ მე ხობუა მდევნისო, რომ მათ არ უნდათ პარტიაში გადავრიცხულიყავიო და ის უფრო თანაგრძნობით იხსენიებდა ორგველიძეს ამ საუბრის დროს, გამოსთქვამდა ხშირ უკმაყოფილებას პარტიული ხელმძღვანელების წინააღმდეგ უნივერსიტეტში, რომელსაც ის რამდენჯერმე ააშკარავებდა (ამბობდა) უწინაც.

შეკითხვა: რატომ შენ ეს კავშირი ატა მოდებოდაცთან არ აცნობე პარტიულ ორგანიზაციას თავის დროზე?

პასუხი: მე მხოლოდ ამ საკითხში შესახებ პირველად განუცხადე ხობუას, მხოლოდ წერილობითი განცხადება არ გამიკეთებია პარტორგანიზაციისათვის ანგარიში.

შეკითხვა: როგორ აფასებ შენ ახლა ატა მოდებოდაცის საქციელს?

პასუხი: სანამ დააპატიმრებდენ ატას ქმარს სარჩიმელიას, მე მას ვუცქერდი პარტიის წევრობის კანდიდატს და სხვა ეჭვი არ შემპარვია, ხოლო ახლა შემეპარა ეჭვი მის პარტიულობაში და მე მას მოუხსენი ამის გამო ჩემი რეკომენდაცია, რომელიც მე მას მივეცი პარტიის წევრად გადარიცხვისათვის. მე ვფიქრობ აგრეთვე, რომ შეუძლებელია მას არ სცოდნოდა რაიმე მისი ქმარის ანტი პარტიული მოქმედებების შესახებ.

შეკითხვა: რაში გრძნობ თავს დამნაშავეთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

პასუხი: მე შეცდომათ ვთვლი, რომ მე დავდიოდი მათთან ოჯახში და არ ვერიდებოდი მათ ისე, როგორც სხვა პასუხისმგებელი ამხანაგები.

დაკითხვა აწარმოვა პარტკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ შემადგენლობით: [...]რქაძე გიორგი ივანეს ძე, [კომუნისტური] პარტიის წევრი 1932 წლიდან; ქურციკიძე მარგარიტა იაკობის ასული, [კომუნისტური] პარტიის წევრი 1932 წლიდან.

ჩვენება წაიკითხა და ხელს აწერს **გიგლა კვიციანიძე**.

29/6-37 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცლები 46-48.

დოკუმენტი №15

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-
გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ბ. ყავრიშვილის
მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანს
ავსტრიის მოქალაქის, სტუდენტ ერნა კნაგსის პოლიტიკურად
არასანდოობის თაობაზე

1937 წლის 31 აგვისტო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანს

1934 წ. უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის ყოფ[ილი] პრორექტორის ამხ. ჭკუასელის და გეოგრაფ გეოლოგიური ფაკულტეტის ყოფ[ილი] დეკანის აკაკი კაჭახიძის დასტურით გეოგრაფ-გეოლოგიურ ფაკულტეტზე (გეოლოგ[იის] განყოფილებაზე) ჩარიცხულ იქნა ავსტრიელი ქვეშევრდომი ერნა მაქსიმეს-ასეული კნაგსი.

როგორც თვით კნაგსის განცხადებაში სჩანს, მას დაუმთავრებია საშუალო სკოლა ვენაში, ერთი წლის განმავლობაში ისმენდა ლექციებს გეოლოგიურ ფაკულტეტზე ლონდონში, ხოლო ორი წლის განმავლობაში ითვლებოდა სტუდენტად ალჟირში. 1933 წ. ერნა კნაგსი თავის ქმართან (ინჟინერი) ერთად გადმოსახლდა ჯერ მოსკოვში, ხოლო ამის შემდეგ ტომსკში, სადაც მიღებული იყო ტომსკის

სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე და სადაც ის იმყოფებოდა 1934 წ. 27 იანვრამდე.

მისი წერილობითი განცხადების თანახმად, თბილისში გადმოსახლდა ჯანმრთელობის გამო, თუმცა ამავე დროს აცხადებს, რომ გაეყარა ქმარს, რომელიც ამჟამად დაბრუნდა უკან ავსტრიაში.

ჩემი დეკანად დანიშნვის შემდეგ (1936 წ. 16/X) მე ვერა ვცანი შესაძლებლად და გამოვრიცხე ერნა კნაგსი საერთო საცხოვრებლიდან, ხოლო ამის შემდეგ, მიუხედავად მისი პროტესტისა, მას ქონდა მოხსნილი სტიპენდიაც.

მეჩვენებოდა რა აღნიშნული პიროვნება პოლიტიკურად საეჭვოდ, მე განუცხადე ამის შესახებ უნივერსიტეტის დირექციას, ხოლო ფაკულტეტის პარტორგს ამხ. ნოე უკლებას მივეცი წინადადება, რათა მას მიეღო სათანადო ზომები და გამოეცხადებინა კნაგსის ვინაობა უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტისა და შინაგან საქმეთა კომისარიატისათვის. ამხ. ნ. უკლებას განცხადებით, ყველაფერი ეს შესრულებულია და ერნა კნაგსი იმყოფება სათანადო თვალდევნის ქვეშ.

ამჟამად ე. კნაგსი ამთავრებს უნივერსიტეტს და შორს არაა ის დრო, როცა იგი მოითხოვს უფლებას სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მიმაჩნია რა ერნა კნაგსი პოლიტიკურად საეჭვოდ პიროვნებად, გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები.

გომობრაფ-გეოლოგ[იის]

ფაკულტეტის] დეკანი

31/VIII-37 წელი

ბ. ყავრიშვილი

სწორია: (ხელრთვა)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცლები 42-43.

დოკუმენტი №16

გრ. შენირულის წერილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა
სახალხო კომისარიატს ასპირანტ არჩილ სტეფანიშვილის
საქმიანობის თაობაზე

1937 წლის 13 სექტემბერი

საქართველოს შინაგან საქმეთა

1936 წელში პარტიულმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა საკითხი ასპირანტ არჩილ სტეფანიშვილის შესახებ. სტეფანიშვილი პოლიტ სკოლის პროპაგანდისტად მუშაობდა ამ პერიოდში, ხოლო პარტორგანიზაციაში (არის საქართველოს] კომუნისტური] პარტიის] (ბ) წევრობის კანდიდატი) კიროვის რაიონში ირიცხებოდა. პროპაგანდისტად მუშაობის დროს მას დაუმტკიცდა, რომ იგი ეწეოდა აშკარა ანტი პარტიულ მოქმედებას და ეწეოდა დისკრედიტაციას საქართველოს პარტიულ და კომკავშირულ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ამ საქმეს გამორკვევის პროცესში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ ი[ლარიონ] ჭუმბურიძის წიგნში ჩადებული აღმოჩნდა „ლენინის ანდერძი.“ ეს ანდერძი პარტიულ კომიტეტში წარმოადგინა ამხ. ი[ლარიონ] ტალახაძემ. პარტიული კომიტეტი სპეციალურად სწავლობდა ამ საკითხს, თუ საიდან ჩაუვარდა ხელში ეს

ანდერძი უპარტიო ჭუმბურიძეს. ჭუმბურიძემ განაცხადა, რომ მან წიგნი ითხოვა არჩილ სტეფანიშვილისაგან და იმ წიგნში იყო. ი. ჭუმბურიძის და სტეფანიშვილის საკითხს ხელი მოჰკიდა შინსახკომის ორგანოებმა (თვალჭრელიძემ), მაგრამ შედეგი მას შემდეგ ჩემთვის უცნობი გახდა. არჩილ სტეფანიშვილის შესახებ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, იგი ამ ბრალდების გარეშეც პარტიის რიგებიდან გაირიცხებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ იგი ზემოთ აღნიშნულ ბრალდების გამო მაშინვე პროპაგანდისტობიდან მოიხსნა და ასპირანტურადანაც გაირიცხა. მიმდინარე წლის მისაღებ გამოცდების დროს კი სტეფანიშვილი საგამოცდო კომისიის წევრი იყო. დამაეჭვა მე რა ამ გარემოებამ, განუცხადად გოზალიშვილს ამის შესახებ და მე თვითონ მოუნახე პარტკომის მაშინდელი დადგენილება, მაგრამ ალბად ამის შესახებ არავის არ უცნობებიათ, სტეფანიშვილი რომ პარტიულ პასუხისმგებლობის გარეშე დარჩა. ზოგიერთები ამბობდენ, რომ ეს თუ როგორ მოხდა მისი პარტიაში და ასპირანტურაში დატოვება.

გრ. შენირული

13/IX-37 წელი

სწორია: (ხელორთვა)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცელი 181.

დოკუმენტი №17

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის სხდომის დადგენილება
უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე
მუშაობის თაობაზე

1937 წლის 26 სექტემბერი

ოქმი №7

26/IX-37 წელი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ს[ახელმწიფო] უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის სხდომისა.

დაესწრო: ქვარცხავა, კიკნაძე, ქერქაძე, შუბლაძე, ფუტკარაძე, ზაქარიაძე, კვიციანიძე, მიქანაძე და შელეგია და ა[ხალგაზრდათა] ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის ს[ახელმწიფო] უნივერსიტეტის კომიტეტის მდივანი ამხ. სიხარულიძე.

1. მოისმინეს: თბილისის ს[ახელმწიფო] უნივერსიტეტის შტატების შემოწმების შესახებ (ქვარცხავა).

აზრი გამოსთქვას: კიკნაძემ, ქერქაძემ.

1) დაადგინეს: 1. ვინაიდან მთელი რიგი სიგნალებია სახელმწიფო უნივერსიტეტის აპარატის შტატის დანაგვიანების შესახებ, რომლის მიმართ ჯერ-ჯერობით არ არის სათანადო ზომები მიღებული, ამიტომ დაევალოს უნივერსიტეტის რექტორს ამხ. გ. კიკნაძეს, პარტიულ კომიტეტთან ამხ. ქვარცხავასთან ერთად, შეუდგეს 27/IX-დან შტატის შემადგენლობის შესწავლას მისი უცხო და მტრულ ელემენტებისაგან განმენდის მიზნით.

2) დაევალოს უნივერსიტეტის რექტორატს, გააძლიეროს შტატის შემადგენლობაში პარტიული კანდიდატებისა და კომკავშირების ბირთვი.

3) მუშაობის მიმდინარეობა და შედეგები მოსმენილ იქნას დეკადაში ერთჯერ პარტიული კომიტეტის სხდომაზე.

4) დაევალოს რექტორატს, შემოწმების დროს მუშა-მოსამსახურეების და პარტიული პერსონალის პირადი საქმეები იყოს მზად.

2. მოისმინეს: პოლიტიკური შკოლების მეცადინეობის დაწყების შედეგების შესახებ (შუბლაძე).

2. დაადგინეს: 1. ვინაიდან პოლიტიკური შკოლების დაკონფლიქტების შემდეგ კიდევ არიან შკოლებში გაერთიანებული მსმენელები არა თანაბარი მომზადებით და ცოდნით, ამიტომ გამოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ქერქაძე, ხაჭაპურიძე, შუბლაძე.

2. დაევალოს კომისიას მოახდინოს შკოლების გადაკომფლექტება ცოდნის და მიხედვით.

3. გაფრთხილებულ იქნას ყველა წევრ-კანდიდატი, რომ არ გააცდინონ პოლიტ-მეცადინეობა, დაევალოს პარტორგებს, რათა სისტემატიურად თვალყური ადევნონ პარტ-წევრ-კანდიდატთა პოლიტიკურ შკოლებში დასწრებას და თვითეული გაცდენების შემ-

თხვევაში დააყენონ მათი საკითხი ფაკ[ულტეტის] პარტ-ორგანიზაციაში სათანადო ზომების მისაღებად.

3. მოისმინეს: აგიტ-სემენარების ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ (*ქვარცხავა*).

3. დააღვინეს: აგიტ-სემენარის ხელმძღვანელად დამტკიცდეს: პირველი კურსისათვის ამხ. შ. კვიცარიძე, მე-2-ე და მესამე კურსისათვის ამხ. ალ. შუბლაძე და მეოთხე და მეხუთე კურსისათვის ამხ. ქერქაძე. ეთხოვოს რაიკომს დადასტურება.

4. მოისმინეს: უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის შესახებ (*ქერქაძე*).

4. დააღვინეს: 1. შეიქმნას უნივერსიტეტში უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეები, რომლებშიაც ჩაბმული იქნას პარტიულ-კომკავშირული პოლიტ-წრეების გარეშე მყოფი უპარტიო სტუდენტობა, პედ-პერსონალი და მუშა-მოსამსახურეები.

2. ჩამოყალიბდეს სტუდენტებისათვის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესასწავლი 24 წრე. თითოეული წრეში გაერთიანდეს 30 ამხანაგი.

3. პედ-პერსონალისათვის შეიქმნეს 7 წრე.

4. მუშა-მოსამსახურეთათვის 8 წრე.

5. უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულება დამუშავდეს 5 მეცადინეობაზე. მეცადინეობა წარმოებულ იქნას თვის 4, 16, 22, 28, 29 რიცხვებში დღის 3 საათიდან 5 საათამდე.

6. პარტიულ და კომკავშირულ პოლიტ-სკოლებში უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა მოხდეს რიგ გარეშე მეცადინეობაზე იმავე აუდიტორიებში თვის 10 და 22 რიცხვებში.

7. საერთო საცხოვრებლებში უზენაეს საბჭოს არჩევნების შესწავლისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიება:

ა) თითოეული საცხოვრებელ ოთახში გამოიყოს მომზადებული ამხანაგი, რომელიც უზრუნველყოფს ოთახში მცხოვრებ სტუდენტებში უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლას.

8. პროფ-პედაგოგიური პერსონალის წრეების ხელმძღვანელებად დამტკიცდეს შემდეგი ამხანაგები:

1. ხაჭაპურიძე გიორგი,
2. ხარაძე,
3. ახვლედიანი,
4. ჯანაშია,
5. ყალიჩავა,
6. ჩხენკელი,
7. ჩიქოვანი,
8. კეცხოველი.

9. მუშა-მოსამსახურეების წრეების ხელმძღვანელებად დამტკიცდეს შემდეგი ამხანაგები:

1. სიგუა,
2. მეუნარგია,
3. მეტრეველი,
4. ჩიკვაიძე,
5. შარაშენიძე,
6. უკლება,
7. მიქანაძე.

10. დაევალოს ამხ. შუბლაძეს, კალაძეს და ჩიკვაიძეს ფაკულტეტის პარტ[იულ] ორგ[ანიზატორებთან] ერთად ა/წლის 27 რიცხვამდე დააზუსტონ სიები და უზრუნველყონ მეცადინეობის დაწყება 27 რიცხვებში.

11. 28 სექტემბერს მონვეულ იქნას დებულების შემსწავლელ წრეების ხელმძღვანელების სემინარი. სემინარის ხელმძღვანელად დამტკიცდეს ამხ. კიკნაძე.

12. პერსონალური პასუხ-მგებლობა უზენაეს საბჭოს არჩევნების შემსწავლელ წრეების მუშაობის ნორმალურ მსვლელობის შესახებ დაეკისროს ამხ[ანაგებს]: შუბლაძეს, მირცხულავას, ლეჟავას და ჩიკვაიძეს.

13. მეცადინეობის შედეგი მოსმენილ იქნას პარტკომზე.

5. მოისმინოს: აგიტატორების დამტკიცების შესახებ (*ქერქაძე*).

5. დაადგინოს: პარტ[იული] აგიტატორებად დამტკიცდეს შემდეგი ამხანაგები:

1. ბარამიძე სიმონ, ს[აქართველოს] კ[ომუნისტური] პ[არტიის] (ბ[ოლშევიკების]) წევრი 1929 წლიდან. პარტ[იული] სასჯელი აქვს (საყვედური) მანდატის დაკარგვის გამო.

2. მანთაშვილი სოლომონ, ს[აქართველოს] კ[ომუნისტური] პ[არტიის] (ბ[ოლშევიკების]) წევრი 1930 წლიდან, იურიდიული ფაკულტეტის მე-2-ე კურსის სტუდენტი. პარტ[იული] სასჯელი არა აქვს.

3. ცხოვრებაძე გრიგოლ, ს[აქართველოს] კ[ომუნისტური] პ[არტიის] (ბ[ოლშევიკების]) წევრი 1931 წლიდან, ეკ[ონომიური] ფაკულტეტის მე-2-ე კურსის სტუდენტი. პარტ[იული] სასჯელი არა აქვს.

4. მიქიაშვილი ქიშვარდი, ს[აქართველოს] კ[ომუნისტური] პ[არტიის] (ბ[ოლშევიკების]) კანდიდატი 1932 წლიდან, ბიოლოგიური ფაკულტეტის მე-2-ე კურსის სტუდენტი. პარტ[იული] სასჯელი არა აქვს.

5. კვარაცხელია ბიქტორი, ს[აქართველოს] კ[ომუნისტური] პ[არტიის] (ბ[ოლშევიკების]) წევრი 1930 წლიდან, პარტ[იული] სასჯელი არა აქვს, ქიმ[იის] ფაკულტეტის მე-2-ე კურსის სტუდენტი.

6. ასაბაშვილი სიმონი, პ[არტიის] წევრი 1932 წლიდან, ეკონ[ო-მიკური] ფაკულტეტის მე-2-ე კურსის სტუდენტი. პარტ[იული] სას-ჯელი არა აქვს.

7. შულღიაშვილი დავით, პ[არტიის] წევრი 1932 წლიდან, ფილოლოგიური ფაკულტეტის მე-2-ე კურსის სტუდენტი. პარტ[იული] სასჯელი არა აქვს.

8. სილაგაძე ალექსანდრე, ს[აქართველოს] კ[ომუნისტური] პ[არტიის] (ბ[ოლშევიკების]) წევრი 1932 წ., ეკონომიური ფაკულტე-ტის მე-4-ე კურსის სტუდენტი. პარტ[იული] სასჯელი არა აქვს.

6. მოისმინეს: 1-ლ ოქტომბერს თ[ბილისის] ს[ახელმწიფო] უნივერსიტეტის პირველადი პარტ[იული] ორგანიზაციის დახურუ-ლი კრების მონვევის შესახებ (*ქვარცხავა*).

6. დააფინანსა: 1. პირველ ოქტომბერს მოწვეულ იქნას პირვე-ლადი პარტ[იული] ორგანიზაციის დახურული კრება, დღის წესრიგ-ში დაისვას შემდეგი საკითხები:

1) სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ.

2) დაევალოს პარტ[იულ] ორგ[ანიზატორ]ებს, უზრუნველყონ პარტ[იის] წევრ-კანდიდატთა კრებაზე 100%-ით დასწრება.

7. მოისმინეს: სტუდ-ქალაქის კულტ[ურული] მუშაკის და წითელი კუთხეების გამგეების შესახებ (*ქერქაძე*).

7. დააფინანსა: 1. მოიხსნას საერთო საცხოვრებლის კულტ[უ-რული] მუშაკი ამხ. ერქომაიშვილი ლონგინოზი საერთო საცხოვრე-ბელში კულტ[ურული] მუშაობის ჩაშლისათვის.

2. მოიხსნას სამუშაოდან 5-კორპუსის წითელი კუთხის გამგე კალენიკე ბოჭორიშვილი წითელ კუთხეში მუშაობის ჩაშლისათვის.

3. მოიხსნას სამუშაოდან როგორც სუსტი მომუშავეები მე-4-ე და მე-7-ე კორპ[უსის] წითელი კუთხის გამგეები ამხ. ქავთარაძე ანდრო და ჩუბინიძე ერასტი.

4. განთავისუფლდეს მე-8-ე კორპუსის ნითელი კუთხის გამგე ამხ. ივანე შელეგია მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

5. საერთო საცხოვრებლის კულტ[ურულ] მუშაკათ დანიშნულ იქნას ამხ. ელისე ზაქარიაძე, პარტკომის წევრი. ნითელი კუთხის გამგეებად დამტკიცდეს შემდეგი ამხანაგები:

ა) მე-4-ე კორპუსში ამხ. ივ. მარგველაშვილი

ბ) მე-5-ე კორპ. ამხ. პოლიკ. კუჭავა.

გ) მე-7-ე კორპ. ამხ. ივ. სილაგაძე

დ) მე-8-ე კორპ. ამხ. ურვან კუბატაძე.

8. მოიხმინეს: ა[ხალგაზრდათა] ლ[ენინური] კ[ომუნისტური] კ[ავშირის] წევრი ამხ. ვლადიმერ პორფილეს-ძე გოგოდის ს[აქართველოს] კ[ომუნისტური] პ[არტიის] (ბ[ოლშევიკების]) წევრობის კანდიდატათ მიღების შესახებ (*ქვარცხავა*).

8. დაადგინეს: გოგოძე ვლადიმერ პორფილეს-ძე, დაბ. 1909 წელში, ქართველი, განათლებით ეკ[ონომიური] ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, მოსამსახურე, ა[ხალგაზრდათა] ლ[ენინური] კ[ომუნისტური] კ[ავშირის] წევრი 1924 წლიდან, მიღებულ იქნას ს[აქართველოს] კ[ომუნისტური] პ[არტიის] (ბ[ოლშევიკების]) წევრობის კანდიდატათ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)

თბილისის სახალმწიფო უნივერსიტეტის

პარტკომის მდივანი

ქვარცხავა

საქმეთა მმართველი

გრ. ჩიხლაძე (*ხელრთვა*)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 87, ფურცლები 102-107.

დოკუმენტი №18

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მ. ქვარცხავას
მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარს სერგო გოგლიძეს ასპირანტ ნოე ფირცხალავას
ანტისაბჭოთა საქმიანობის თაობაზე

1937 წლის 1 ოქტომბერი

საიდუმლოდ

საქართველოს შინაგან საქმეთა

სახალხო კომიტეტის უფროსს გოგლიძეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი
გაცნობებთ, რომ ქიმიის ფაკულტეტის ასისტენტი ნოე ფირცხალავა
აღმოჩნდა ყოფილი ტროცკისტი, რომელიც დისკუსიებზე იცავდა
ტროცკისტულ შეხედულებებს ჩინეთის რევოლუციის საკითხში და
კომკავშირის ახალ ფორმებზე გადასვლის ირგვლივ. გარდა ამისა,
იგი 1927-28 წელს ღებულობდა ტროცკისტულ ლიტერატურას
ტროცკისტ, ამჟამად გადასახლებულ იროდიონ ძიძიგურისაგან,
რისთვისაც გარიცხულია ა[ხალგაზრდათა] ლ[ენინური] კ[ომუნის-
ტური] კ[ავშირის] რიგებიდან სტალინის რაიკომის მიერ.

გთხოვთ მიიღოთ საჭირო ზომები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)

სახელმწიფო უნივერსიტეტის

პარტკომის მდივანი მ. ქვარცხავა (ხელრთვა)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი
947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცელი 172.

დოკუმენტი №19

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მ. ქვარცხავას
მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარ სერგო გოგლიძეს სათო ბერუჩიანის ანტისაბჭოთა
საქმიანობის თაობაზე

1937 წლის 1 ოქტომბერი

საიდუმლოდ

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის უფროსს გოგლიძეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი
გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ დაპატიმრებულ ხალხის მტერ ჯაშუშ
შალვა ცინცაძესთან მჭიდრო კავშირში იყო ლაბორანტი სათო
ბერუჩიანი და ასრულებდა მის დავალებებს. ცინცაძის დავალებით
ბერუჩიანმა დაიწყო რუსული სტენოგრამის შესწავლა სამუშაო საა-
თების ხარჯზე, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ქიმიასთან.

2) მიქონდა ხელფასი მის სახლში.

3) შექონდა თანამშრომლებში უკმაყოფილოება.

4) დაიწყო პარტიის წევრ კანდიდატებისა და კომკავშირის წევრების დევნა.

5) დაახლოებული იყო ისე, რომ იგი ინტიმიურ კავშირშიაც იმყოფებოდა ცინცაძესთან.

6) გარდა ამისა, ბერუჩიანს კავშირი ქონდა ჯაშუშ ალავერდოვას ქალთან, რომელიც ოთახის ჩუქებასაც კი დაპირდა.

ყოველივე აღნიშნულისა გამო, გთხოვთ მიიღოთ საჭირო ზომები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)ოლშევიკების
სახელმწიფო უნივერსიტეტის
პარტკომის მდივანი **ქვარცხავა (ხელრთვა)**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცელი 171.

დოკუმენტი №20

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის პ. ხობუას მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ სერგო გოგლიძეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გრიგოლ რობაქიძის დისშვილის ლილი ლომინაშვილის მიერ შესაძენი წიგნების სიის წარდგენასთან დაკავშირებით

1937 წელი

საიდუმლო

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს აგხ. გოგლიძეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომი გაცნობებთ, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გამოცხადდა ფაშისტ გრიგოლ რობაქიძის მიერ გაზრდილი, მისი დის შვილი, რომელიც წინეთ თურმე ატარებდა რობაქიძის გვარს, ხოლო ამჟამად ატარებს ლომინაშვილის გვარს. ლილი ლომინაშვილმა (მცხ. ნინოშვილის ქ. №41/ა) წარმოგვიდგინა სიები ფრანგულ და გერმანულ ენებზე

დაბეჭდილი წიგნებისა შესაძენად. ბიბლიოთეკას აღნიშნული წიგნები არ შეუძენია.

როგორც ლომინაშვილთან საუბრიდან გამოიკვია, ეს სიები შეუდგენია გერმანიის საკონსულოდან მის მიერ სპეციალურად მონვეულ პირს (გვარი არ დაუსახელებია) და მასვე შეუფასებია. ნაწილი წიგნებისა, როგორც ლომინაშვილმა განაცხადა, შეუძენია საკონსულოს, ხოლო ნაწილი, 2500 მანეთის ღირებულების, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას, რომელსაც თვითვე წიგნში გადაუხდია 25 მანეთი.

როდესაც ბიბლიოთეკაში მომუშავე ამხანაგებმა ლომინაშვილს განგებ განუცხადეს, რომ წიგნებს ძალიან ძვირად აფასებს და მადენის გადახდა არ შეუძლიანთ, მან უპასუხა: „თუ საჯარო ბიბლიოთეკამ უბრალო ბროშურები თითო 25 მანეთად აიღო, ამ წიგნებს უფრო მეტად გავყიდო. მე ამის შესაძლებლობა მაქვს და თუ არ შეიძენთ, თქვენი ნება არისო“.

შეკითხვაზე, აქვს თუ არა კიდევ სხვა წიგნები, რომლებსაც გაჰყიდის, ლომინაშვილმა უპასუხა: „სახლში კიდევ მაქვს წიგნები, მაგრამ ისინი სიაში არ შევიტანე, რადგან მთავლიტის რწმუნებულმა გადაარჩია, როგორც იდეოლოგიურად მიუღებელი წიგნები“. პარტიული კომიტეტი გაცნობებთ რა ზემო აღნიშნულს, გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)ოლშევიკების

სახელმწიფო უნივერსიტეტის

პარტკომის მდივანი:

პ. ხობუა (ხელრთვა)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცელი 49.

დოკუმენტი №21

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის პარტიული ორგანიზატორის პ. კუჭავას მოხსენება
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს

1937 წელი

საქართველოს კომუნისტური პარტიის [(ბ) სახელმწიფო] უნივერსიტეტის პარტკომს

1) იურიდიული ფაკულტეტის პარტიის წევრ ვასილ თევზაძეს 1931 წელს ჰქონია პარტიული სასჯელი დადებული – სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით – ვანის რაიკომის მიერ სახელმწიფოსათვის გეგმით გათვალისწინებული ჩასაბარებელი პროდუქციების გადამალვისათვის, რომელიც მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარეთ მუშაობდა, რაც ეს მან დამალა პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დროს და არას დროს ორგანიზაციისათვის არ გაუმხელია. იგივე თევზაძე საკოლმეურნეო ქონების განიავებისათვის სასამართლოზედაც იყო გადაცემული.

2) თევზაძე იყო მე-4 კურსის პარტ[იული] ორგ[ანიზატორ]ი, რომელსაც ორგანიზაციაში არც ერთხელ არ დაუყენებია სტ[უდენტ] ვარლამ ჯობავას შეცდომების შესახებ საკითხი. პირიქით, მთელი წლების განმავლობაში სისტემატიურად იცავდა მას და უწევდა ერთგულ მფარველობას.

3) კომკავშირის დახურული კრებაზედ, სადაც მუშავებოდა კომკავშირიდან გარიცხული სტ[უდენტების]: ხუხუას, მეზურნოვის, ჭანუყვაძის და სხვების საკითხი, როგორც კონტრევოლუციონური ფაშისტი ჩიჩუას მფარველობს, ვასილ თევზაძე არ გამოსულა და ერთის სიტყვაც არ უთქვამს მათ შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზედ უფრო ახლო ამხანაგური კავშირში ის იყო იმათთან.

4) თევზაძემ იცოდა, რომ მათი ჯგუფის, ე. ი. ხუხუას, მეზურნოვისა და ჭანუყვაძის უახლოესი ამხ. და მეგობარი ისიდორე დოლიძე სვერდლოვის იურიდიული ინსტიტუტიდან სწერდა კონტრევოლუციური ხასიათის შინაარსის მატარებელ წერილებს, რომელიც ხოტბას ასხამდა ამიერ კავკასიის ტროც[კისტული] ორგანიზაციის ერთ ერთ ხელმძღვანელ საზიზღარ ტროცკისტ მალაქია ტოროშელიძეს. ამავე დროს დოლიძე წერილს თევზაძეს უგზავნის, ის კი ორგანიზაციას ამის შესახებ ერთ სიტყვას არ ეუბნება და სდუმს.

5) ხალხის მტერის პაშუკანისის წიგნები, როგორც სახელმძღვანელო იურიდიული დარგის სტუდენტებისათვის და, საერთოდ, როგორც კონტრევოლუციონური შინაარსის წიგნი, ამოღებულია ყველგან. მას კი ეს წიგნი დღესაც აქვს ფრთხილად შენახული და ერთ დღეს სტუდენტებში განაცხადა: „საერთაშორისო სამართალი არა ლეგარულად დავამუშავე პაშუკანისის წიგნიდანაო“. მან იცის, რომ ხუხუას აქვს ხმარებიდან ამოღებული წიგნი შენახული ტროცკისტებისა, მაგრამ ამის შესახებ ორგანიზაციას არაფერს არ ეუბნება.

6) ხუხუა, ჭანუყვაძე და სხვა, რომლებიც გაირიცხენ კომკავშირიდან, მათმა უახლოესი კავშირი დაიჭირეს უკმაყოფილო ელემენტებთან, რომლებიც გარიცხული არიან კომკავშირიდან და აგრეთვე სხვა რამ სასჯელი აქვთ დადებული ამათი საერთო ხელმძღვანელობას. პარტ ნევრი ვ. თევზაძე იღებს მათთან სურათს, მთელ თავისუფალ დროს ატარებს მათთან საუბარში მოხერხებულად და შენიღბული, რომ რაც შეიძლება ხალხს თავი განარიდონ და ნაკლებად დაინახონ ისინი სტუდენტობამ. უახლოესი ამხანაგური დამოკიდებულებაში არის უპარტიო პროფესორებთან, როგორცაა ნანეიშვილი, სურგულაძე და სხვა.

ყოველივე ამის შემდეგ კითხვა ისმის თევზაძის პოლიტიკური ფიზიანომიის შესახებ.

1) იურიდიული ფაკულტეტის] 4 კურსის სტუდენტი შალვა ხუხუა კომკავშირიდან გაირიცხა ფაშისტის აგენტის ჩიჩუას დაცვისა და მფარველობისათვის. როდესაც წითელ ჯარში მას კომკავშირიდან რიცხავდენ, ხუხუამ აიღო თავისი თავზე ვალდებულება, რომ კონტრევოლუციონერ ჩიჩუას გამოასწორებდა.

2) აქ ყოფნის დროს ხუხუა ახლო კავშირში იყო, მასთან ქეიფობდა, სურათებს იღებდენ ერთად, იცოდა აგრეთვე ხუხუამ ის, რომ ჩიჩუა კითხულობდა კონტრევოლუციური ხასიათის ლიტერატურას.

3) ხუხუა მალავს, მალულათ სარგებლობს კონტრევოლუციური ტროცკისტული წიგნებით და არ აძლევს ორგანიზაციას, რომელიც დღესაც მას აქვს თავისი ბიბლიოთეკაში.

4) ლექციების დროს ხუხუა სისტემატიურად უშვებდა კონტრევოლუციონერი ხასიათის შეცდომებს, როგორცაა „უფლება უნარიანობა ადამიანთა თანდართული თვისება არისო“, „ფაშიზაცია აუცილებელი კატეგორია არისო“ და სხვა.

5) კონტრევოლუციონურ მოლაყბეს ვ. ჯობავას თავიდან იცავ-
და ენერგიულად, ენეოდა დემაგოგიას, თითქოს ჯობავას დევნიდენ,
როგორც ფრიადოსან სტუდენტებს, პარტიულმა კომიტეტმა უხეში
შეცდომა დაუშვა ჯობავას გარიცხვაზე და სხვა.

6) ხუხუა იკრებს თავის გარშემო უკმაყოფილო ელემენტებს,
უნივერსიტეტიდან გარიცხულებს, გამომჟღავნებულ ტროცკის-
ტებს, როგორიცაა ენუქიძე, გამრეკლიძე და სხვა, აგრეთვე სასჯელ
დადებულ კომკავშირლებს – ნაჭყეპიას, შარაშენიძეს და სხვა.

7) ხუხუას ბიძა, ტროცკისტი, რომელიც ეხლა დაჭერილია და
შინსახკომში ზის, ხუხუას არასდროს არ განუცხადებია ორგანიზა-
ციისათვის.

8) ხუხუა გასულ წელს ჩაიჭრა პროფესორ ნანეიშვილის საგან-
ში, რის გამოც პროფ. ნანეიშვილი იძულებული გახდა, რომ ნიშანი
არ დაენერა, რასაც რამოდენიმე სტუდენტი უყურებდა. მეორე
დღეს კი პროფესორმა გამოიძახა და უგამოცდოთ დაუწერა ნიშანი
„ფრიადი“.

9) ხუხუა და თევზაძე მთელი დღეებს ერთად ატარებდენ,
დადიან ჩუმჩუმათ, სადღაც ძვრებიან, იკრებენ თავიანთი გარშემო
უკმაყოფილო და ტროცკისტობისათვის ორგანიზაციიდან გარი-
ცხულ სტუდენტებს და ატარებენ ჯგუფურ საუბრებს.

10) ხუხუას მინერ-მონერა ქონდა კონტრევოლუციონური
შინაარსის წერილებისა სვერდლოვის იურიდიული ინსტიტუტში
სტ. დოლიძესთან მალაქია ტოროშელიძის შესახებ და სხვა.

1) ნაჭყეპია შალვა – იურიდ[იული] ფაკ[ულტეტის] 4 კურს[ი].
კომკავშირმა მას გამოუტანა ორგ[ანიზაციული] სასჯელი – სას-
ტ[იკი] საყ[ვედური] უკან[ასკნელი] გაფრთხილებით შემდეგი ლაყბო-
ბისათვის: „თითქოს ამბობდენო, რომ სტალინსა და ვოროშილოვს
შორის ერთ დროს ინტრიგა იყო“.

2) ნაჭყეპიამ იცოდა, ხუხუას, მეზურნოვს და ჭანუყვაძეს მიწერ-მოწერა ქონდათ დოლიძესთან კონტრევოლუციონური შინაარსის წერილებისა, მაგრამ მან ეს ორგანიზაციას არ განუცხადა.

3) ნაჭყეპია ლიბერალურ დამოკიდებულებაშია მათდამი და ხშირ შემთხვევაში კიდევ ფარავს მათ. ხუხუას ქონდა ტროცკისტული ლიტერატურა, რომლის შესახებ ნაჭყეპიას დაავალეს, რათა მოეტანა, რის გამო კრებაზე ასე განაცხადა: „ქურდი ხომ არ ვარ, ხუხუას წიგნები მოვპაროვო“. აგრეთვე, ხუხუასთან გადაიღო სურათი ამ რამოდენიმე დღის წინათ.

1. შარაშენიძე შალვა – იურიდ[იული] ფაკ[ულტეტის] II კურს[ის] სტ[უდენტი]. ის გარიცხული იქნა 1931 წელს პარტიის წევრობის კანდიდატობიდან კოლმეურნეობაში შესვლაზე უარის განცხადების გამო. ეს მან ორგანიზაციას არ განუცხადა. პირიქით, ერთ ხანს თავს პარტიის კანდიდატათ ასაღებდა, იჩენდა კომკავშირში აქტიობას და რაიკომში უფ[როს] ინსტრუქტორათ გაძვრა. ახლო დამოკიდებულებაში იყო და ახლაც არის გამომჟღავნებულ ტროცკისტებთან – ენუქიძესთან, გამრეკლიძესთან და სხვა. მან აგრეთვე იცოდა, რომ გამრეკლიძე უნებართოთ ატარებდა რევოლვერს „კოროვინის“ სისტემის.

2. სტ[უდენტი] ვარლამ ჯობავას მამა იყო მეფის დროის მოსამართლე, 1924 წელს მენშევიკურ ავანტიურაში მონაწილეობის მიღების გამო გადასახლებული. თვითონ ჯობავა შეძვრა კომკავშირის ორგანიზაციაში, საიდანაც მალე გაძევებული იქნა. 1927 წელს იყო ახალგაზრდა მარქსისტი ორგანიზაციის წევრი, რომელიც გალის შინ[აგან] [საქმეთა] სახ[ალხო] კომ[იტეტის] მიერ დაპატიმრებული იქნა. 1931 წელს გაირიცხა უნივერსიტეტიდან 29 სტ[უდენტთან] ერთად, როგორც ანტი საბჭოთა ელემენტი. 1933 წელს აღდგე-

ნილი იქნა უნივერსიტეტის რექტორის კონტრ[ევოლუციონერი] ტრ[ოცკისტის] ლევან აღნიაშვილის მიერ.

მთელი წლების განმავლობაში ლექციაზე მოხერხებულად აპირებდა კონტრ[ევოლუციური] ხასიათის თეორიებს.

როგორც არის:

1) პირველყოფილ კომუნიზმში სამართლის ინსტიტუტი არსებობდა, რაც ნიშნავს ფაშისტ კაუცკის თეორიის აშკარად აღიარებას.

2) პარიზის კომუნას ახალი არაფერი არ მოუციაო.

3) ფაში[ზაცია] დღევანდელი ეკონომიური პირობების გამო აუცილებელია.

4) ბუხარინის ლოზუნგი „გამდიდრებით“ იძლევა, რა[სა]ც სტალინი[ს] ლოზუნგი „შეძლებული“ გახდით.

5) აგრეთვე ერთ ერთ სხდომაზე განაცხადა, მარქსის კაპიტალში ეჭვი მეპარებაო.

6) წითელ ჯარში მან მოაწყო დებოში – წითელ არმიელი ჯანელიძე გაიტყვიპა, ცხვირი და პირი დაამტვრია.

7) ეწეოდა აგიტაციას ჯარში, რომელიც ჯარში კეთდება, თითქოს სილა ხრეში ეყაროს (პარტიის წევრის გაბუნიას დაკითხვით).

8) ის სიმპატიებით აღჭურვილია სისხლის ფაშისტური რასიური თეორიაში, უძახის: „მე ცისფერი სისხლი მაქვსო“.

9) აქ მას თავისი წარსულის შესახებ არსად არ განუცხადებია. პირიქით, მაღავდა ყველგან და თავს „პატარა აფხაზათ“ ასალებდა.

10) უახლოეს კავშირში იყო და, არ ასე ითქმის, მთელი დღეებს ატარებდა პროფესორ ნანეიშვილთან, ბიძინა რამიშვილთან, შალვა ნუცუბიძესთან და იროდიონ სურგულაძესთან. მთელი დღეები ჭადრაკს თამაშობდა, მათთან იყო სახლში სადილათ და ვახშმათ მიუხედავად იმისა, რომ არ მეცადინებოდა აღნიშნულ პროფესორებთან.

3. პარტ ნევრი ნერგაძე იცავდა თავის გამოსვლებში პროფ. ვაჩეიშვილს, სურგულაძეს, დისკრედიტაციას ეწეოდა კ[ომუნისტური] პ[არტიის] ნევრი დოცენტი ი. ბოჭორიშვილის, არ გამოცხადდა პირველ მაისს წინა ღამით საგუშაგოზე. პარტიულ ერთ კრებაზე განაცხადა: „რაკი ტროცკისტები იყვნენ, დიდი კაცები ხდებოდენ და უკეთესად აზროვნებდენ“-ო და სხვა.

იურიდიული ფაკულტეტის პარტორგი **პ. კუჭავა** (ხელრთვა)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცლები 55-58.

დოკუმენტი №22

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის პარტიული ორგანიზატორის პ. კუჭავას მოხსენება
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
თბილისის ორგანიზაციის პარტიულ კომიტეტს

1937 წელი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომს

1. იურიდიული ფაკულტეტის 4-ე კურსის სტუდენტი შალვა ხუხუა კომკავშირიდან გაირიცხა ფაშისტის აგენტის ჩიჩუას დაცვის და მფარველობისათვის. როდესაც ხალხის მტერს ჩიჩუას კომკავშირის რიგებიდან რიცხავდნენ, ხუხუამ აიღო თავის თავზე ვალდებულება, რომ კონტრევოლუციონერ ჩიჩუას გამოასწორებდა.

2. სასწავლო პროცესში ხუხუა მუდამ კარგ და ახლო კავშირში იყო კონტრევოლუციონერ ჩიჩუასთან (მიუხედავად, ისინი სხვა და სხვა კურსზე სწავლობდნენ), ხშირად უქეიფნია მასთან, ბევრჯერ სურათებიც კი გადაუღიათ ერთად.

3. ხუხუამ კარგად იცოდა, რომ კონტრევოლუციონერი ჩიჩუა კითხულობდა ტროცკისტული კონტრევოლუციონურ ლიტერატურას, მაგრამ არაფერი უთხრა ამის შესახებ ორგანიზაციას, პირიქით,

თვითონაც აქვს ტროცკისტული ლიტერატურა, დამალულად სარგებლობს მით (როგორც განაცხადა ნაჭყეპიამ).

4. ლექციების დროს ხუხუა სისტემატიურად უშვებდა კონტრევოლუციონური ხასიათის შეცდომებს, როგორცაა: „უფლება უნარიანობა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა“; „ფაშიზაცია აუცილებელი კატეგორია არისო“. მან პოლიტსკოლის მეცადინეობის დროს უხეში შეცდომა დაუშვა პროლეტარიატის დიქტატურის განმარტების საკითხში, რის გამოც ის მოხსნეს პროპაგანდისტობიდან. მასალები ამის შესახებ ახალგაზრდა კომუნისტის მონინავეში იყო გამოქვეყნებული.

5. კონტრ[ევოლუციონერი] მოლაყბე ჯობავას ხუხუა ყოველთვის თავგამოდებით იცავდა და როცა მისი საკითხს ორგანიზაცია დააყენებდა, მაშინ ის აცხადებდა, რომ „ფრიადოსან სტუდენტს დევნიანო“ და სხვა.

6. ხუხუა თავის ირგვლივ იკრებს ყველა უკმაყოფილო ელემენტებს, იყო ამჟამად გამომჟღავნებული და დაპატიმრებული კონტრევოლუციონურ გამრეკლიძესთან და ენუქიძესთან.

7. ხუხუას ბიძა არის ხალხის მტერი, ტროცკისტი, ამჟამად გამოქვეყნებული და დაპატიმრებული, რის შესახებ ხუხუამ არაფერი არ განაცხადა ორგანიზაციაში.

8. ხუხუა და თევზაძე მთელ დღეებს ერთად ატარებენ, დადიან ჩუმჩუმად, იკრებენ თავის ირგვლივ უკმაყოფილო და კონტრევოლუციონური ლაყბობისათვის გარიცხულ ელემენტებს და მათთან ატარებენ საუბრებს.

9. ხუხუას მიწერ-მოწერა ქონდა კონტრ[ევოლუციონური] შინაარსის წერილებისა სვერდლოვის იურიდი[ულ] ინსტიტუტში სტუ-

დენტ დოლიძესთან მალაქია ტოროშელიძის შესახებ. ეს წერილები ჩვენ დაუჭირეთ.

10. ყველა ზემოდ აღნიშნული ფაქტების შემდეგ ხუხუას ფიზიონომია გამორკვეულია. ხუხუა მტრის სახით იყურება და საჭიროა მის მიმართ გადამწყვეტი ზომების მიღება.

იურიდ[იული] ფაკ[ულტეტის]

პარტორგანიზატორი **პ. კუჭავა** (*ხელრთვა*)

[1937 წ.]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცლები 74-75.

დოკუმენტი №23

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-
გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ბ. ყავრიშვილის
მოხსენება საქართველოს კომინისტური პარტიის
(ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანს
1937 წელი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანს

1934 წლ. უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის ყოფ. პრორექტორის ამხ. ჭკუასელის და გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის ყოფ. დეკანის აკაკი კაჭახიძის დასტურით გეოგრაფ-გეოლოგიურ ფაკულტეტზე (გეოლოგ[იის] განყოფილებაზე) ჩარიცხულ იქმნა ავსტრიელი ქვეშევრდომი ერნა მაქსიმეს ასული კნაგსი.

როგორც თვით კნაგსის განცხადებიდან სჩანს, მას დაუმთავრებია საშუალო სკოლა ვენაში, ერთი წლის განმავლობაში ისმენდა ლექციებს გეოლოგიურ ფაკულტეტზე ლონდონში, ხოლო ორი წლის განმავლობაში ითვლებოდა სტუდენტად ალჟირში. 1933 წლ[ისათვის] ერნა კნაგსი თავის ქმართან (ინჟინერი) ერთად გადმოსახლდა ჯერ მოსკოვში, ხოლო ამის შემდეგ ტომსკში, სადაც მიღებული იყო ტომსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე და სადაც ის იმყოფებოდა 1934 წლ[ის] 27 იანვრამდე.

მისი წერილობითი განცხადების თანახმად, თბილისში გადმოსახლდა ჯანმრთელობის გამო, თუმცა ამავე დროს აცხადებს, რომ გაეყარა ქმარს, რომელიც ამჟამად დაბრუნდა უკან ავსტრიაში.

ჩემი დეკანად დანიშვნის შემდეგ (1936 წლ[ის] 16 ოქტომბერი) მე ვერა ვცანი შესაძლებლად და გამოვრიცხე ერნა კნაგის საერთო საცხოვრებლიდან, ხოლო ამის შემდეგ, მიუხედავად მისი პროტესტისა, მას ჰქონდა მოხსნილი სტიპენდიაც.

მეჩვენებოდა რა აღნიშნული პიროვნება პოლიტიკურად საეჭვოდ, მე განუცხადე ამის შესახებ უნივერსიტეტის დირექციას, ხოლო ფაკულტეტის პარტორგს ამხ. ნოე უკლებას მივეცი წინადადება, რათა მას მიეღო სათანადო ზომები და გამოეცხადებინა კნაგის ვინაობა უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტისა და შინაგან საქმეთა კომისარიატისათვის. ამხ. ნოე უკლებას განცხადებით, ყველაფერი ეს შესრულებულია და ერნა კნაგის იმყოფება სათანადო თვალყურის ქვეშ.

ამჟამად ე. კნაგის ამთავრებს უნივერსიტეტს და შორს არაა ის დრო, როცა იგი მოითხოვს უფლებას სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მიმაჩნია რა ერნა კნაგის პოლიტიკურად საეჭვო პიროვნებათ, გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები.

გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი,

პროფესორი

ბ. ყავრიშვილი *(ხელრთვა)*

[1937 წ.]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცელი 138.

დოკუმენტი №24

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის ხობუას და
უნივერსიტეტის საქმეთა მმართველის ქორიძის წერილი
„თბილხლებტორგის“ პარტიული კომიტეტის მდივანს

1937 წელი

საიდუმლო

თბილხლებტორგის პარტკომის მდივანს

თბილისის სახ. უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი გაცნობებთ, რომ ამხ. ალექსანდრე სანაძე სახ[ელმწიფო] უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ-ფინ[ანსურ] ნაწილში პრორექტორობის მუშაობის პერიოდში მჭიდროთ იყო დაკავშირებული უნივერსიტეტის ყოფილ რექტორ, ამჟამად იზოლირებული, ხალხის მტერ კ. ორაგველიძესთან. უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციისათვის უკვე ცნობილია, რომ ა. სანაძე ჩადიოდა სამსახურებრივ დანაშაულს – სტიპენდიების უკანონოდ გაცემა, თანხების განიავება (ბალ-მასკარადის საქმე, საკუთარ ძმაზედ უკანონოდ ფულის მიცემა, ხარჯთ-

აღრიცხვის გარეშე თანხების ხარჯვა, ციხის ძირის სახლის მშენებლობა და სხვ.).

ა. სანაძე აგრეთვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის მტერ ზ. ბრომიკერთან. მათი ურთიერთ დამოკიდებულება იმდენად მჭიდრო იყო, რომ ა. სანაძეს 1500 მან. უკანონოდ გაეცა ბრომიკერზედ, ხოლო ხალხის მტერი ბრომიკერი კი ა. სანაძეს ავადმყოფობის დროს დიდ მზუნველობას იჩენდა ა. სანაძისადმი.

ა. სანაძე უნივერსიტეტში მოხსნის შემდეგაც კი თითქმის ყოველდღე დადიოდა უნივერსიტეტში და განაგრძობდა რაღაც საიდუმლო, ფრიად საეჭვო საუბრებს უნივერსიტეტის ყოფილ რექტორ, ხალხის მტერ ორაგველიძესთან.

პარტიული კომიტეტი საეჭვოდ სთვლის ა. სანაძის ასეთი მჭიდრო კავშირს ხალხის მტრებ ორაგველიძე და ბრომიკერთან და გთხოვთ დეტალურად შეისწავლოთ ა. სანაძის ურთიერთობა ხალხის მტრებ ორაგველიძე და ბრომიკერთან. ყოველგვარი მასალები, რომლებიც კი მოეპოება უნივერსიტეტის პარტორგანიზაციას, გადმოცემული იქნება თქვენი მოთხოვნებისამებრ თანავე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პარტკომის მდივანი **ხოზუა (ხელრთვა)**

საქმეთა მმართველი **ქორიძე (ხელრთვა)**

[1937 წ.]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 947, აღწერა 1, საქმე 92, ფურცელი 102.

შინაარსი

- ქაში მჯვარცემლთა მეფობისა ----- 3
- დოკუმენტი №1. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ბიუროსა და უნივერსიტეტის კომუნისტური უჯრედების ბიუროების გაერთიანებული სხდომის ოქმი უნივერსიტეტის რეორგანიზაციის თაობაზე ----- 6
- დოკუმენტი №2. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ბიუროს, კომუნისტი ლექტორების, დოცენტებისა და პროფესორების გაერთიანებული სხდომის ოქმი უნივერსიტეტის ბაზაზე სასწავლო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროექტის განხილვის თაობაზე ----- 11
- დოკუმენტი №3. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუროს სხდომის ოქმი უნივერსიტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სასწავლო ინსტიტუტებისათვის შენობის გამოყოფის თაობაზე ----- 16
- დოკუმენტი №4. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ბიუროს მიერ მოწვეული თათბირის დადგენილებები მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით ----- 20
- დოკუმენტი №5. 1930 წლის 13-17 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ძველი პროფესორის წინააღმდეგ გამართული დისკუსიის სტენოგრაფიდან ----- 23
- დოკუმენტი №6. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ბიუროს დასკვნები უნივერსიტეტის მსუბუქი კავალერიის მუშაობის თაობაზე ----- 27
- დოკუმენტი №7. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარ-

ტიული კომიტეტის მდივნის ს. გეგენავას მოხსენება ლავრენტი ბერიას უნივერსიტეტის რექტორის ლევან აღნიაშვილის არაბოლშევიკური მოღვაწეობის თაობაზე ----- 30

დოკუმენტი №8. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ლევან აღნიაშვილის მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლავრენტი ბერიას საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის ს. გეგენავას განცხადებასთან დაკავშირებით ----- 35

დოკუმენტი №9. 1936 წლის 23 მარტიდან 2 აპრილამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის განქიქების მიზნით გამართული დისკუსიის სტენოგრამიდან ---- 62

დოკუმენტი №10. ივანე ჯავახიშვილის წერილი საქართველოს სსრ განათლების კომისარს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მისი დევენისა და სამსახურიდან გადადგომის თაობაზე ----- 67

დოკუმენტი №11. ივანე ჯავახიშვილის წერილი ვარლამ დონდუას ----- 69

დოკუმენტი №12. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის დახურული კრების ოქმი სტუდენტ შალვა ლლონტის ანტისაბჭოთა საქმიანობის თაობაზე ----- 71

დოკუმენტი №13. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტიული ორგანიზატორის მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს ----- 78

დოკუმენტი №14. გიგლა კვიციანიძის ჩვენება, მიცემული საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისიისათვის----- 83

დოკუმენტი №15. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ბ. ყავერიშვილის მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანს ავსტრიის მოქალაქის, სტუდენტ ერნა კნაგსის პოლიტიკურად არასანდოობის თაობაზე----- 87

დოკუმენტი №16. გრ. შენირულის წერილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ასპირანტ არჩილ სტეფანიშვილის საქმიანობის თაობაზე----- 89

დოკუმენტი №17. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის სხდომის დადგენილება უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე მუშაობის თაობაზე----- 91

დოკუმენტი №18. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მ. ქვარცხავას მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს სერგო გოგლიძეს ასპირანტ ნოე ფირცხალავას ანტისაბჭოთა საქმიანობის თაობაზე----- 98

დოკუმენტი №19. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მ. ქვარცხავას მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ სერგო გოგლიძეს სათო ბერუჩიანის ანტისაბჭოთა საქმიანობის თაობაზე----- 99

დოკუმენტი №20. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის პ. ხობუას მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ სერგო გოგლიძეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გრიგოლ რობაქიძის დისშვილის ლილი ლომინაშვილის მიერ შესაძენი წიგნების სიის წარდგენასთან დაკავშირებით----- 101

დოკუმენტი №21. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პარტიული ორგანიზატორის პ. კუჭავას მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს-----103

დოკუმენტი №22. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პარტიული ორგანიზატორის პ. კუჭავას მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის პარტიულ კომიტეტს-----110

დოკუმენტი №23. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ბ. ყავრიშვილის მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანს-----113

დოკუმენტი №24. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის ორგანიზაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის ხობუას და უნივერსიტეტის საქმეთა მმართველის ქორიძის ნერილი „თბილხლებტორგის“ პარტიული კომიტეტის მდივანს-----115



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge